



მარტი, 2022

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 14.6% შეადგინა.
- მარტში წლიური ინფლაცია 11.8%-ს გაუტოლდა.
- მარტში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 7.2%-ით, ხოლო ევროს მიმართ 4.5%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge


*სტატისტიკური ინფორმაციის გამომქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოდგენს წინა თვის ცვლადს



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი

რეალური მშპ-ის ზრდა (%)




თებერვალში დადებითი ეკონომიკური ზრდა 14.6%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 14.6% შეადგინა.


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის კლების ანუალიზებულმა ტემპმა¹ 0.2% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდე, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნება.

ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით




სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილება (%)



მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 11.8%-ს შეადგენს.


წინა წლის მარტთან მიმართებით, 2022 წლის მარტში ინფლაციის დონე 11.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერჯიაზე, აირზე, ტრანსპორტზე, ავეჯის, საოჯახო ნივთების და სახლის მოვლაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, აგრეთვე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. 2022 წლის თებერვალში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 8.9% შეადგინა.

წვლილი მარტის ინფლაციაში (%)



¹ წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.


ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)



თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 31.4%-ით, ხოლო ხარჯები 10.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 65.9 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 146.7 მლნ ლარით განისაზღვრა.


შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი)



თებერვალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები ზრდის ტენდენციას ავლენს.


წინა წლის თებერვალთან მიმართებით, 2022 წლის თებერვალში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 12.6%-ით მოიმატა და 42.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 23.8%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 3.4%-ით.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (მლნ ლარი)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-თებერვალი




იანვარ - თებერვალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.


2022 წლის იანვარ - თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 54.5%-ით, ხოლო იმპორტი 47.2%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ინდოეთში (2,256%-ით), პერუში (938.6%), ყაზახეთში (334.7%-ით), აშშ-ში (146.7%-ით) და ბულგარეთში (131%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი ტუნისში (100%-ით), მაროკოში (96.1%-ით), ესპანეთში (84.2%-ით) და კანადაში (76.8%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა აბოტოვანი სასუქების (214.2%), დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებისა (119.8%) და ფეროშენადნობის (92.7%) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - თებერვალი)




ფულადი გზავნილები (%)
თებერვალი



თებერვალში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის თებერვალში ფულადი გზავნილები 13.7%-ით გაიზარდა. თებერვლის თვეში გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42.6%), რუსეთი (12%) და აშშ (11.5%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: ყაზახეთიდან (680.7%-ით), ყირგიზეთიდან (225.2%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (122.7%-ით), ირლანდიიდან (71.3%-ით) და გერმანიიდან (61.9%-ით).

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - თებერვალი




2022 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებმა 4,031 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


2022 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,031 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.7%-ით შემცირდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 0.9%-ით გაიზარდა.

2022 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 39.6 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)



საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



— საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები (მარცხენა ღერძი)
 — საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები (მარცხენა ღერძი)
 — საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი, მლნ აშშ დოლარი (მარჯვენა ღერძი)

2022 წლის მარტში გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის მარტში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 211,484 შეადგინა, რაც 266.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც მარტის თვეში 188,354 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მარტის თვის მაჩვენებელთან 236.9%).


2022 წლის თებერვალში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 105.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 670.8%-ით მეტია 2021 წლის თებერვლის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები


თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა კლების ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის თებერვალში სარეზერვო ფულის მასა 6.6%-ით შემცირდა. ფულის M2 აგრეგატი 16.1%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 7.7%-ს გაუტოლდა. მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 11.8% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება




დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი)




თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა დოლარიზაციის მაჩვენებელი.

2022 წლის თებერვალში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.56%-ული პუნქტით გაიზარდა და 58.9%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.99%-ული პუნქტით გაიზარდა და 51.1% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის თებერვალში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.4%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 3.8%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



თებერვალში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.04%-ული პუნქტით შემცირდა.


2022 წლის თებერვალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.3%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით 5.5% შეადგინა, 0.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის თებერვალთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის 2022 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პპ-ით 11.0%-მდე გაიზარდა.

მარტში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.2%-ით, ხოლო ევროს მიმართ 4.5%-ით გაუფასურდა. ამავდროულად პერიოდში მცირედით გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.9%-ით, ევროს მიმართ კი 11.2%-ით გამყარდა.


ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები




4. რეგიონული მიმოხილვა

მარტში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2022 წლის მარტში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 61.1% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (7.4%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა* და რუსეთს*, 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 12.2%-ით, ხოლო რუსეთში 9.2%-ით გაიზარდა.



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
მარტი, 2022



მარტში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2022 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (5.7%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.3%-ით), ხოლო თურქული ლირა (47.9%-ით) და რუსული რუბლი (31.4%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემახამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		მარ 21	აპრ 21	მაის 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	4.0	44.8	25.8	18.7	9.9	10.3	6.9	6.9	12.0	9.6	18.0	14.6	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	21.5	93.4	50.3	37.5	26.5	31.2	24.0	25.6	32.6	31.2	39.8	27.3	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	7.2	7.2	7.7	9.9	11.9	12.8	12.3	12.8	12.5	13.9	13.9	13.7	11.8
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.50	9.50	9.50	9.50	9.50	10.0	10.0	10.0	10.0	10.5	10.5	10.5	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	64.55	0.63	0.62	0.61	0.60	0.60	0.60	0.60	0.60	0.59	0.59	0.58	
	სესხების დოლარიზაცია (%)	55.36	0.56	0.54	0.53	0.52	0.52	0.51	0.51	0.50	0.51	0.50	0.51	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.34	3.44	3.38	3.16	3.13	3.12	3.12	3.14	3.14	3.10	3.08	3.01	3.24
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	188,171.1	194,056.8	187,714.4	201,898.4	208,428.2	204,893.0	209,749.8	206,691.2	207,337.5	229,487.0	168,840.5	183,418.8	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	325.7	377.7	340.0	350.7	386.3	335.1	373.6	411.2	430.4	419.5	331.3	429.0	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	775.0	756.2	770.0	863.7	882.5	867.2	957.8	935.7	1,017.0	1,038.0	786.2	995.5	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	(449.3)	(378.5)	(430.0)	(513.0)	(496.2)	(532.1)	(584.2)	(524.4)	(586.6)	(618.5)	(454.8)	(566.5)	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,101.3	4,136.3	4,153.5	3,918.4	3,872.7	4,116.7	4,076.6	3,959.0	3,928.5	4,272.1	4,078.1	3,992.9	4,030.6
ფინანსური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,208.2	1,006.6	1,002.9	1,482.2	1,269.4	1,296.6	1,300.5	1,278.7	1,420.04	1,707.4	1,485.1	1,292.1	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,197.4	1,344.7	1,148.9	1,271.98	1,391.22	1,113.9	1,208.4	1,303.1	1,256	1,934.4	1,185.8	1,226.2	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	245.8	250.2	222.8	496.1	243.1	308.1	479.9	248.2	296.6	798.8	193.9	218	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ცხრილი N2². ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

² ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.